ახალი განთიადი

,,მეფენიერია ის, ვისაც ცხემშობლოსათვის უძგერს გული,,

16 - 28 ოქტომბერი 2015 წელი №21 №8103 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

85-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერს, ავრცელებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარჯს არ უხდის უვითელ ჭრესას, ყმნის ჩვენი ცხოვრების მეუღლეებზე ლმაცრანეს ...

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,, და გახდით ჩვენი მუითხველი!

გილოცავთ გიორგობას!

ცრილაჭარი:

ცოვიოთ განმათავიხოვლებელო, და გლაბავთ ხელიც ვლმაჭყრილებელო, ცნელოთ მყურნავლო, და მეთვით ოძლიეველო, წინამბრძოლო, ლვაწლითი შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ეკვლერე ჭრილცდეცა ლმერთსა შენწყალებავდ ცოთავ ჩვენთავიც.

ყონდაკი:

მოიმუშაკე ლმერთსა მიერ და გამოცხადი მუშაკად პატიოსნად ლმერთსა-
მცავრებსა გიორგი, და ცათნოებათა მჯელეოული შეოკრიბე თავცა შენცა,
რამეთუ ცრემლით ცთილე და ციცხლოთ მოიმკე, ციცხლი დაცთხიე და
მოლვაწეობითა ჭრილცდე შეიძინე, და ვნ' მეოხებითა შენითა იცცნი ციყოდილიცავგან ცოთავ ჩუენთა.

შენცნობილებული ცამუშაოთა ქრონიკა გვ2-5.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას 2013-2015 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. გთავაზობთ ამონარიდს გამოსვლიდან. გვ2-5.

ქალაქი ყანდა გვ6.

საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გვ5.

ოფიციალური ქრონიკა

ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

30 ოქტომბერს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე 2013-2015 წლებში გაწეული საქმიანობის საანგარიშო მოხსენებით წარდგა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა კონკრეტულად ისაუბრა საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, კულტურულ, სპორტულ და სხვა პროექტებზე.

საანგარიშო პერიოდში 269 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა: გზების რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრი სამუშაოები - 41 პროექტი. სასმელი, სარწყავი წყლის და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია 92 ობიექტი, გარე განათება 95 ობიექტი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა სანიაღვრე-სადრენაჟო, სარიტუალო, სპორტული და სხვა დანიშნულების 113 ობიექტს.

მოეწყო მუნიციპალური ნაგავსაყრელი.

გაიხსნა 6 ახალი საწარმო, გადაიარაღდა-გაფართოვდა 37 საწარმო. აშენდა ერთი ახალი, რეაბილიტირდა 4 საჯარო სკოლა და 1 მ/პ სკოლა-გიმნაზია.

ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 26 საბავშვო ბაღს, კასპის მუნიციპალიტეტს გადაეცა სასწრაფო დახმარების 3 ახალი ავტომანქანა, გაიხსნა 3 ახალი სასოფლო ამბულატორია.

ინდივიდუალური მრიცხველები დაუმონტაჟდა 5 000 აბონენტს, გაზიფიცირდა 513 და გამრიცხველიანდა 1900 აბონენტი, ელექტროფიცირდა მაღალმთიანი სოფლები გოსტიბე და ცხავერი.

მიმდინარეობს კასპის სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია, საცხოვრებელი გარემო გაუუმჯობესდა 113 დევნილ ოჯახს, რომელთაც ქალაქ კასპში გადაეცათ ახალი საცხოვრებელი სახლები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ასევე მოკლედ ისაუბრა იმ სამუშაოებზე, რომელიც დაგეგმილია მომავალ წელს და პასუხი გასცა დასმულ კითხვებს.

მოხსენების დასრულების შემდეგ გოჩა გოჩიტაშვილმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის სამსახურებს, პოლიტიკურ პარტიებს და მოქალაქეებს, რომლებიც საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პირობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში თანადგომას და მხარდაჭერას უცხადებდნენ. როგორც გამგებელმა აღნიშნა, თანადგომის გარეშე ის მარტო ვერ შეძლებდა აქ წარმოდგენილი პროექტების განხორციელებას.

მოსახლეობას სიტყვით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ილია ზაქარიაძემ, გაწეული მუშაობისათვის მან მადლობა გადაუხადა გოჩა გოჩიტაშვილს და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ კვლავაც წარმატებით ითანამშრომლებენ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

შესრულებული სამუშაოთა ქრონიკა

მოსახლეობასთან შეხვედრა

სოფელ ხოვლის მისასვლელი გზა

შავრობის სარწყავი არხი

მოსახლეობამ უფასოდ მოხნა კუთვნილი ფართობები

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას 2013-2015 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. გთავაზობთ ამონარიდს გამოსვლიდან:

“გასული 2014 წელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით იყო დატვირთული. გადაიდგა თვალსაჩინო ნაბიჯები ქვეყნის აღმშენებლობის, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით. ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღებითა და ამოქმედებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობების აქამდე არსებული სტრუქტურა. მოსახლეობის პირდაპირი კენჭისყრით გამგებლის არჩევამ, რადიკალურად შეცვალა გამგებლის სტატუსი. არჩევის შედეგად გამგებელი გახდა არა დაქირავებული საჯარო მოხელე, არამედ პოლიტიკური თანამდებობის პირი. კოდექსით გაიწერა გამგებლის ფუნქციები და უფლებამოსილებები.

გასული წლის პოლიტიკურმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარება შეუქცევადი პროცესია და ქვეყანა თანდათან უახლოვდება აღებულ კურსს - ევროატლანტიკურ არჩევანს და საერთო ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ - გამგეობამ, მისმა ცალკეულმა სამსახურებმა და განყოფილებებმა, ადმინისტრაციულმა ერთეულებმა, თითოეულმა საჯარო მოხელემ, ხელმძღვანელობდნენ რა საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საჯარო სამსახურის შესახებ კანონით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის დებულებებით, საკრებულოს დადგენილებებით, განკარგულებებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით, მიზანმიმართული მუშაობა გასწიეს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის.

საანგარიშო პერიოდში კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც ქალაქად ისე სოფლებში - მრავა

*გაგრძელება გვ3.

გამყოფი ხაზისპირა სოფლების გაზიფიცირება

ელექტროფიცირებულია მაღალმთიანი სოფლები მოსტიბე და ცხავერი.

ქ. კასპი, რუსთაველის ქუჩის მოასფალტება

მირიან მეფის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა

სამთავისიდან კასპში მომავალი სასმელი წყლის მაგისტრალის მილების ამოცვლა

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას 2013-2015 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. გთავაზობთ ამონარიდს გამოსვლიდან:

*გაგრძელება

ლი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. შესრულდა კეთილმოწყობის, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, ხალხის მოთხოვნათა საფუძველზე შესრულებული სამუშაოები. აღნიშნული შესაძლებელი გახდა ერთი მხრივ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, მთავრობის ცალკეული სამინისტროების ხელმძღვანელი პირების ყოველდღიური ყურადღებითა და მზრუნველობით, ხოლო მეორე მხრივ მუნიციპალიტეტისათვის დაფინანსების სხვადასხვა წყაროებით გამოყოფილი ფინანსური რესურსების მაქსიმალური მობილიზებისა და ეფექტიანი გამოყენების გზით.

2013-2015 წელს კასპის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობები:

2014 წელს მომზადდა ქალაქ კასპის გენერალური გეგმა.

გზები

2013-2015 წელი

დასრულებულია სოფელ ოკმის, საქადაგიანოს, აღაიანის, კავთისხევის, თვალადის, ეზატის, ზემო ხანდაკის, თეზის და ხოვლესთან მისასვლელი და შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები 18 150 გრ.მ/ 88 615 მ² - 6 983 479 ლარი.

დასრულებულია ქალაქ კასპში სააკაძის და რუსთაველის ქუჩების სრული რეაბილიტაცია - 1495გრ.მ/16330მ² - 1 818 000 ლარი.

კასპის მუნიციპალიტეტის შვიდი ადმინისტრაციული ერთეულის 34 სოფელში მოიხრეშა შიდა სასოფლო გზები - 10899 გრ/მ - 307 824 ლარი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა).

2015 წელი

დასრულდა იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდა სახელმწიფოებრივი, საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები - 6,5 კმ/ - 4 852 000 ლარი;

სამთავისიდან მომავალი ფოლადის მილის და სოფელ მრგვალი ჭალიდან მომავალი სასმელი წყლის აზბოცემენტის მაგისტრალის რეაბილიტაცია - 1 900 000 ლარი;

უახლოეს პერიოდში, იგოეთი-კასპის გზის გასწვრივ მოეწყობა გარე განათება.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით სრულდება გარიყულა-ახალციხე-ნოსტე-მთიულთუბნის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 3 425 321 ლარი;

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით სრულდება ახალქალაქი-ერთაწმინდა, რკონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 2 569 970 ლარი;

მიმდინარეობს სასირეთი-თელიანის გზის სოფელ თელიანის გზის მონაკვეთზე რეაბილიტაცია-მოასფალტება - 560 772 ლარი;

დასრულდა ქალაქ კასპში ბაზრის მიმდებარე ტეერიტორიის მოასფალტება - მოწყობის სამუშაოები - 128770 ლარი;

მიმდინარეობს ქალაქ კასპში, მირიან მეფის ქუჩის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები - 851 843 ლარი;

დაიწყო ქალაქ კასპში, დადიანის ქუჩის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები - 799 830 ლარი;

იწყება მდინარე თეძამზე, სოფელ თეძმისხევისა და ახალსოფლის დამაკავშირებელი სამანქანე და საფეხმავლო ხიდის მშენებლობის სამუშაოები - 175 910 ლარი;

იწყება ქალაქ კასპში აღმაშენებლის ქუჩაზე "წყალსაქაჩთან" მდებარე ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები - 235 599 ლარი;

ნაპირსამაგრი სამუშაოები:

2014 წელს შესრულდა ქალაქ კასპში, მდინარე ლეხურის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს ნაპირსამაგრი სამუშაოები და გაბიონების მოწყობა - 429 გრ/მ - 1 536 999 ლარი;

2015 წელი - მიმდინარეობს იგოეთი - კასპი - ახალქალაქის მე-7 კილომეტრზე მდინარე ლეხურის ქვედა საყრდენი კედლის რეაბილიტაცია - 1 700 000 ლარი.

წყალარინება

2014 წელი - ქალაქ კასპში დადიანის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის და 10 შემაერთებელი ქუჩის მიმღები ჭის მოწყობა - 250 000 ლარი;

ვარჯაანის დასახლებაში ჩატარდა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები - ღირებულებით 400 000 ლარი;

2015 წელს, ქალაქ კასპში მიმდინარეობს სააკაძის ქუჩაზე ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები - 456 660 ლარი.

სასმელი წყალი

2013-2014 წელს შეიცვალა:

სასმელი წყლის სისტემა ქალაქის ქუჩებზე - 3 800 000 ლარი;

სოფელ ლამისყანაში დავით გურამიშვილის წყაროდან არსებულ წყლის დებეტზე მოეწყო ახალი წყალსადენის სისტემა და რეზერვუარი - 160 000 ლარი;

სოფელ ქვემო გომსა და წინარეხში მოეწყო სასმელი წყლის სათავეები, რეზერვუარი და შიდა ქსელები - 12500გრ/მ - 408 299 ლარი.

2015 წელს:

სასმელი წყლის სისტემა შეიცვალა და შეკეთდა სოფელ კავთისხევში და სოფელ გორაკაში;

სოფელ იგოეთში მოეწყო წყლის რეზერვუარი;

იწყება სოფელ ნიგოზასა და ჩობალ

*გაგრძელება გვ4

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას 2013-2015 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. გთავაზობთ ამონარიდს გამოსვლიდან:

***გაგრძელება**

აურში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, სატუმბი სადგურის მოწყობა და სოფელ სამთავისში არსებული სადგურის რეკონსტრუქციის სამუშაოები - 359 829 ლარი;

სოფელ ზემო ხანდაკის სასმელი წყლის მაგისტრალის მიყვანა არსებულ წყალშემკრებ რეზერვუარამდე;

2015 წელს დასრულდა სოფელ ქვემო გომის ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ქალაქ კასპში მოეწყო მგზავრთა 2 მოსაცდელი;

ქალაქ კასპში №1 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ღია საჭიდაო არენა.

საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება

2014 წელი

დასრულდა ქალაქ კასპში, ყოფილი საავადმყოფოს არსებული და მშენებარე შენობების რეკონსტრუქცია იძულებით გადაადგილებულ პირთა 113 ოჯახისათვის.

ელექტრო მომარაგება

2014 წელს დასრულდა კასპის მუნიციპალიტეტის 17 სოფლის ცენტრის გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 89 252 ლარი.

2015 წელს სრულდება ქალაქ კასპის ქუჩების და 55 სოფლის გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია - მოწყობის სამუშაოები - 200 000 ლარი.

2014 წელს გამრიცხველიანდა კასპის მუნიციპალიტეტის 13 სოფელი - 2257 აბონენტი. ელექტროფიცირებულია წლობით ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი სოფლები ცხავერი და გოსტიბე.

გაზიფიცირება

2013-2014 წელს ბუნებრივი აირი მიიღო 1055 ოჯახმა;

2015 წელს გაზიფიცირდება 1 900 ოჯახი (სოფელი კავთისხევი, თელადგორი, გუდალეთი, ეზატი, ქვემო ხანდაკი, მირიანი, წინარეხი);

მიმდინარეობს ქვემო გომის, მეტეხის, თელიანის, ახალქალაქის, ახალციხის, დოესის, ხოვლის და ზემო ხანდაკის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების პროექტირება.

საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა

2014 წელს ქალაქ კასპში მოეწყო 2 სკვერი ატრაქციონებით და სამი სპორტული მოედანი;

2015 წელს ქალაქ კასპში მოეწყობა ორი სკვერი და ოთხი სპორტული მოედანი.

სპორტი

ქალაქ კასპში მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები - სამუშაოების ღირებულებაა - 1 598 732 ლარი.

საბავშვო ბაღები:

26 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

2015 წელს გრძელდება II ეტაპის სამუშაოები. (სამუშაოების საერთო ღირებულებაა საშუალოდ 4 000 000 ლარი).

საჯარო სკოლები:

სოფელ ხოვლეში აშენდა ახალი საჯარო სკოლა;

რეაბილიტირებულია 4 საჯარო სკოლა და 1 მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზია;

2015 წელს დაგეგმილია 3 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

მიმდინარეობს 3 ახალი სკოლის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები (თვალადი, ქალაქ კასპის №1 და ხოვლის საჯარო სკოლის ახალი კორპუსი) - 8 500 000 ლარი.

დასუფთავება

2014 წელს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიძინა 100 ცალი გალვანიზირებული ნაგვის ურნა.

2014 წლის 1 ივნისიდან, 65 სოფლიდან დაიწყო საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, (გაგრძელდა 2015 წელს);

მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ მოეწყო კასპის ნაგავსაყრელი.

ირიგაცია

დასრულდა ქალაქ კასპის „შავრობის„ და „ახტალას„ სარწყავი არხების რეაბილიტაცია 20 000 გრძივ მეტრზე - 738 920 ლარი.

2014 წელს გაიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საირიგაციო სისტემებს, გასარწყავდა 3795 ჰა - 6 103 506 ლარი.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დასრულდა მეტეხის მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასრულდა თეზი-ოკამის, თეძამის, შუა უბნის, კოდას და სიონის არხების სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

2014 წელს იაფი კრედიტის ფარგლებში, სოფელ ბარნაბიაანთკარში შპს „პიუნიკ ჯორჯია-„მ მეფრინველეობის ფაბრიკა გახსნა.

2013 -2014-2015 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდასაჭერად გაიცა სასოფლო - სამეურნეო ბარათები;

2014 წელს იაფი კრედიტის ფარგლებში გაიხსნა 6 ახალი და გაფართოვდა 5 საწარმო.

ჯანდაცვა და სოციალური

2014 წელს გაიხსნა 3 ახალი სასოფლო ამბულატორია;

კასპის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს გადაეცა 3 ახალი ავტომანქანა;

2013 წლიდან ქვეყანაში განხორციელდა მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა;

***დასასრული გვ5**

იძულებით გადაადგილებულ პირთა 113 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ბინა კასპში

ალმოჩენა გრაკლიანი გორაზე

იაფი კრედიტის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. შპს პიუნიკ ჯორჯია,,(ბარნაბიაანთკარი)



ქ. კასპი ახალი სკვერი

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას 2013-2015 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. გთავაზობთ ამონარიდს გამოსვლიდან:

*დასასრული.

2013 წლიდან მოსახლეობა სარგებლობს უფასო ჯანდაცვის პროგრამით;

საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში დაზღვეულია 53 353 ადამიანი;

გაზრდილ სოციალურ დახმარებას იღებს 3602 ოჯახი;

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტში 35 ოჯახმა მიიღო დახმარება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ეწყობა დღის ცენტრი „მომავალი,;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე ყოველწლიურად გათვალისწინებულია 180 000 ლარი;

მუნიციპალიტეტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადაეცათ 27 ეტლი.

გამყოფი ხაზის პირა სოფლები

გამყოფი ხაზის პირა 12 სოფლის 555 ოჯახმა გამოზამთრებისათვის მიიღო 200 ლარი;

გაზიფიცირდა 10 სოფელი, გამრიცხველიანდა 600 ოჯახზე მეტი;

5 სოფელში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი, წვეთოვანი რწყვის სისტემები;

2013-2014 წლებში დაფინანსდა 31 სტუდენტი;

გამყოფი ხაზის პირა სოფლებს გადაეცათ სათესლე ხორბალი, კარტოფილი, ფქვილი, შერჩევით ოჯახებს გადაეცათ ქათმები, კურდღლები, ფუტკარი და სხვა;

10 სოფელში - იუესაიდის-აშშ განვითარების სააგენტოსთან ერთად დაფინანსდა ინფრასტრუქტურული და სასოფლო-სამეურნეო პროგრამები.

2015 წელს აღდგა სახალხო დღესასწაული „კასპობა.”

2013-14 წლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე დახარჯული თანხის საერთო ღირებულება შეადგენს საშუალოდ - 29 000 000 ლარს.

2015 წელს შესრულებული და მიმდინარე სამუშაოების ღირებულებაა - 32 397 000 ლარზე მეტი.,,

სასმელი წყლის პრობლემა აღარ იქნება

კასპის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის კიდევ ერთი პროექტის განხორციელება დაიწყო. კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში ნიგოზასა და ჩობალაურში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, სატუმბი სადგურის მოწყობა და სოფელ სამთავისში არსებული სატუმბი სადგურის რეკონსტრუქციისა და გამრიცხველიანების დასრულების შემდეგ 4 სოფლის: ნიგოზას, ჩობალაურის, ზემო და ქვემო რენეს მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება.

სოფელ ნიგოზასა და ჩობალაურში 210 ოჯახი მიიღებს სასმელ წყალს და დაუმონტაჟდება წყლის მრიცხველები, ხოლო ორივე სოფლის ცენტრში მოეწყობა საუბნო ონკანი.

მაგისტრალის და შიდა ქსელების საერთო სიგრძე 12 000 გრძივი მეტრია, რომელიც მოეწყობა ახალი პოლიეთილენის მილით, ასევე აშენდება სატუმბი სადგური.

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 283 770 ლარია. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “ნდს მშენებლობა” ახორციელებს. ხელშეკრულების თანახმად სამუშაო 2015 წლის ბოლოს დასრულდება.

“სოფელ ნიგოზას, ჩობალაურის, ზემო და ქვემო რენეს მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა აქვთ. პრობლემის აღმოსაფხვრელად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვერ შევძელით საჭირო თანხების მოძიება. დახმარება საქართველოს მთავრობას ვთხოვეთ, რომელმაც საჭირო თანხა გამოყო” - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

დალი კორკოლაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

2016 წელს პროექტი ითვალისწინებს...

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი №2 და №5 საბავშვო ბაღების შემოდგომის ზეიმს დაესწრო.

გამგებელმა მოინახულა ბაღებში მიმდინარე სამუშაოები და 2016 წელს დაგეგმილი პროექტები გააცნო პედაგოგებსა და აღსაზრდელების მშობლებს. ამ ეტაპზე დასრულებულია ქ. კასპის ხუთი საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაცია; №4 საბავშვო ბაღში მოეწყო სველი წერტილები, ბუნებრივი აირის ქსელი, სასმელი წყლის, საკანალიზაციო და გათბობის სისტემები, ამოიცვალა კარ-ფანჯრები, შენობას ჩაუტარდა გამაგრების სამუშაოები.

2016 წელს პროექტი ითვალისწინებს ფასადების აღდგენას, ეზოების შემოღობვას, დარჩენილ ბაღებში გათბობის მოწყობას, იატაკების და კარ-ფანჯრების ამოცვლას, შიდა სარემონტო სამუშაოებს.

საქველმოქმედო აქცია-კონცერტი

კასპის ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივითა და ორგანიზებით ქალაქის კულტურის ცენტრში გაიმართა საქველმოქმედო აქცია-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემსრულებლები, საესტრადო სიმღერების ჯგუფები, ფოლკლორული ანსამბლი... ღონისძიების ორგანიზატორმა, კასპის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარემ დალი მაზმიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას აუწყა ამ აქცია-კონცერტის ჩატარების მიზეზი და განაცხადა, რომ მათ თანაქალაქელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს ნათიკა ჯაფაროვს ესაჭიროება მათი თანადგომა და დახმარება, ამისათვის გადაწყდა ამ კონცერტის ჩატარება, რათა შემოსული თანხა გადაირიცხოს მის დასახმარებლად...

საქველმოქმედო კონცერტს ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელმაც დადებითად შეაფასა ახალგაზრდების ინიციატივა და დახმარება აღუთქვა ღონისძიების ორგანიზატორებს. აქციის მონაწილეებს აქტიური დახმარება გაუწია საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიული სოზიაშვილმა, რომელმაც ნათიკა ჯაფაროვის ოჯახს გადასცა საკვები პროდუქტების დიდი პაკეტი.

აქცია-კონცერტს ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის “ადამიანი, კანონი, თავისუფლება” – დირექტორი გიორგი ჯულუხაძე.

ღონისძიებას უძღვებოდნენ დალი მაზმიშვილი, ლალი ნაცვლიშვილი, გაგი ფეიქრიშვილი და თამარ რაზმაძე. როგორც აქციის ორგანიზატორები იუწყებიან, კონცერტიდან შემოსული თანხა უკვე გადაეცა ნათიკა ჯაფაროვის ოჯახს.

ქალაქი კასპი

** გაგრძელება. დასაწყისი იხ. "ახალი განთიადი" №20.*



თეთრადხევის მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობს სამაროვანი, რომელიც ფეოდალური ხანით თარიღდება. აქ დასაფლავებული ყოფილა თადეოზ (თათე) სტეფანწმინდელი, ერთ-ერთი ასურელი მამა, რომელიც ქართლში მოვიდა VI ს-ის შუა წლებში: "კასპს ზეით, წევის მთაში, არს მონასტერი მამებას, სტეფანწმინდისა, თათესაგან, იგ მამათაგანის ქმნული. დაფლულია წმინდა თათე მუნ"-წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

ძველი ძეგლების გარდა ბოლო წლებში ქალაქში აშენდა ახალი ეკლესიები. წმინდა გიორგის, წმინდა იოანე ნათლისმცემლის და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობისა.

კასპში მრავლად იყო ძველი მარნები, რომლებიც ქალაქის განაშენიანებისას თანდათან დაინგრა. შემორჩა ჯუმბერ მაღლაფერიძის ეზოში აღმოჩენილი მარანი. (6,5X3,5მ-ზე) რომელშიც 8 ძველი ქვევრია: სამი 50 კოკიანი, ერთი 25 კოკიანი, ერთი 14 კოკიანი და სამი საზედაშე. აქვე იყო საწნახელის ნაშთი, საიდანაც გამოდიოდა ღარი და ქვევრებს გარს უვლიდა. მისი საშუალებით ივსებოდა ქვევრები ღვინით. მარანი XVIIIს განეკუთვნება. არსებობს ამილახვრების მარანი კასპში, მათ ყოფილ სახლში, რომელიც ამჟამად კერძო მოსახლეს ეკუთვნის. (ნუგზარ ნონიაშვილის სახლი).

მდინარე ლეხურაზე წისქვილები იდგა: გზირიაანთ წისქვილი (იგივე ზიზილას წისქვილი), რომელშიც სამი დოლაბი ბრუნავდა, სასაკაანთ მიხას წისქვილი, დიმიტრიანთ წისქვილი, ღვინიაანთ წისქვილი, მენაბდეანთ წისქვილი, თრიმლის წისქვილი (ამზადებდნენ საღებავს). მათგან ამჟამად არსებობს და მოქმედებს მხოლოდ გზირიაანთ წისქვილი.

კასპის მიწები ოდითგანვე მდინარე ლეხურის წყლით ირწყვებოდა. არსებობს რამდენიმე არხი: ახტალის, (სიგრძე 12,1 კმ), რომლითაც ქენარუხის და ახტალის მიწებს რწყავენ, შავრობის (სიგრძე 7 კმ) რომელიც გადადის აშურიანზე მთავარანგელოზისკენ და ამ მიწებს რწყავს შიმშილას არხი, რომლითაც შიმშილა და მიმდებარე მიწები ირწყვება. არსებობდა აგრეთვე ჭიანურის არხი, რომელიც ამჟამად გაუქმებულია.

ისტორიული ამბები და მოვლენები.

მემატიანე ლეონტი მროველი ქალაქ კასპის დაარსებას ეთნარქ უფლოსს, მითიური მცხეთოსის ძეს მიაწერს: "... და ამან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, კასპი."

კასპი როგორც უძველესი ქალაქი წარმოშვა გარკვეულმა ისტორიულმა და სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ, ხელი შეუწყო აგრეთვე ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ.

ქალაქის სავარაუდო ადგილსამყოფელი ეჭვს ბადებს, რომ ის თავისი ადგილმდებარეობის გამო ყოფილიყო დაწინაურებული, როგორც მაგალითად სამშვილდე და ხერთვისი, რომლებიც სტრატეგიული მდებარეობით იქცევენ ყურადღებას. კასპი, ურბნისის მსგავსად, შესაძლებელია დაწინაურდა თავისი მზარდი ეკონომიკის წყალობით და ქალაქი უპირატესად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. კასპის უძველესი დასახლება საუკუნეთა განმავლობაში იქცა ციხე-ქალაქად. მკვლევართა აზრით, იგი ძვ.წ.აღ. VI-V სს –ში უნდა გადაქცეულიყო ქალაქად.

"მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით კასპი იხსენიება უძველეს ქართულ ქალაქებთან ერთად: "სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაი, უფლის ციხე კასპისა, ურბნისა და ოძრახისაი."

ამ ცნობიდან როგორც ჩანს, კასპს ჰქონია უფლისციხე. ცნობილია, რომ იბერიის ქალაქებს თავიაანთი სამფლობელო "ქვეყანა" ჰქონიათ და ჰყავდათ თავიანთი პატრონი ანუ უფალი და ჰქონდათ ციხე-უფლის ციხე. თუმცა, სად მდებარეობდა კასპის "უფლის ციხე"-უცნობია.

კასპის "ქვეყანა" ანტიკურ და ელინისტურ ხანებში საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა "ქართლის ცხოვრების" ერთი ცნობა. რომელიც ძვ.წ.აღ. IV-ს შეეხება. მაკედონელი "აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა და პოვნა ციხე ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლში: წუნდა, ხერთვისი მტკუარისა, ოძრახე მოკიდებული კლდესა ღადოსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა ... ამი ყოველთა, ციხე ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი.

ძვ.წ.აღ. პირველ საუკუნეში მეფე არსუკის მეფობისას კასპი დასუსტებული ჩანს: მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო.

კასპის შემდგომი მოხსენიება მატიანეში დაკავშირებულია ქართლის გაქრისტიანებასთან.

337 წელს სანადიროდ წამოსულმა მეფე მირიანმა მოვლო "სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ." აქ იხილა მირიანმა მზის დაბნელება, რის შემდეგაც ირწმუნა ქრისტე. სვეტიცხოვლის ჯვარიდან "გამოვიდა ვარსკვლავი იგი, ამაღლდა და მიიწია მთასა ზედა თხოთისასა, გარდასავალსა ზედა კასპისასა" სადაც მეფემ წმინდა ნინოს ეკლესია ააშენა.

ძლიერი ქალაქი კასპი ორსაფეხურიანი დაცვის სისტემით იქნებოდა გამაგრებული. უშუალოდ პუნქტი დაცული იქნებოდა საფორტიფიკაციო ნაგებობებით, მთლიანად მხარე კი უფლისციხითაც. წყაროების მიხედვით ქალაქი კასპი ეკონომიკურად და პოლიტიკურად საკმაოდ ძლიერი და დაწინაურებული ყოფილა მეხუთე საუკუნეში.

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ქალაქს ჰყავდა სპასალარი და წარმოადგენდა გარკვეული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის - "კასპის სასპასალაროს" ცენტრს.

კასპში იზრდებოდა ვახტანგ გორგასლის და მირანდუხტი: "წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან. შემდგომად ამისა, მეექუსესა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხვა და უწოდა სახელი მირანდუხტ და მოითხოვა იგი საზრდოდ სპარსალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან. და წამოიყვანა იგი ქალაქად კასპსა და იზრდებოდა მუნ." ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, ამ პერიოდში კასპი ოსებს დაულაშქრავთ. მათ "მოაოხრეს ველნი, არამედ ციხე ქალაქნი დაურჩეს, თვინიერ კასპისა, ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაი ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი." V-VIII-სს-ში კასპი კვლავ ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრის როლს ქართლში, მაგრამ VIII ს-ის 30-იან წლებში არაბთა სარდალმა მურვან ყრუმ ქალაქი ისე ააოხრა, რომ მასში საბოლოოდ ჩაკვდა საქალაქო ცხოვრება: "და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი" აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი. VIIIს-ის შემდეგ კასპი სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სამეფოს არსებობის პერიოდში (XI-XV-სს) იგი ადმინისტრაციულად ქართლის საერისთაოს შემადგენლობაში იყო. ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის სიგელში, რომელიც 1392 წლით თარიღდება იმ დასახელებულ პუნქტებს შორის, რომლებიც გათავისუფლებულ იყვნენ ყოველგვარი სამეფო გადასახადისაგან, ნახსენებია სოფელი კასპიც.



საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლისა და სათავადოთა სისტემის წარმოქმნის შემდეგ (XVს-ის მეორე ნახევარი XVIII-ს) იგი ქართლის სამეფოს მსხვილი ფეოდალების თავად ამილახვართა სამფლობელოში შედიოდა. ამას ადასტურებს 1429 წლის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე პირველმა კასპი ავთანდილ ზევდგენიძეს უწყალობა: "... კასპი და იგოეთი იგი მოგეცით ციხითა, მონასტრითა, ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა, ვენახითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა ყოვლითა სახმარითა და უხმარითა ... გუიბოძებია და მოგუიცემია თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ზევდგენისძეთა."

XVIს-ის მეორე ნახევარში ქართლის მეფემ სიმონ პირველმა კასპი ბარძიმ ამილახვარს ჩამოართვა და სვეტიცხოველს შესწირა. სოფელი კასპი იხსენიება 1559 წლით დათარიღებულ "ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში," რომლის მიხედვითაც "კასპი სოფელნი მათითა მამულითა გათავისუფლდა ყოველგვარი სათხოვარისა და გამოსაღებისაგან."

კასპი ქართლის შუა გულში მდებარეობდა და ყველა მომხვდურს, ვისაც ქართლი აუწიოკებია, ეს სოფელიც არ გადარჩენია. XVIIIს-ში ლეკების ერთ-ერთი თარეშის დროს კასპი მთლად გადაუწვავთ და მოსახლეობაც გაუნადგურებიათ. ამას ადასტურებს 1740 წლით დათარიღებული წერილი, რომელიც კასპის მოურავ დიმიტრი ქარუმიძეს გაუგზავნია გივი ამილახვრისათვის: "კასპელი კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილა, თითო ბიჭი სადღაც გადარჩომილა, იმათი პოვნა შეუძლებელიაო." თუმცა, სოფელი ისევ წელში გამართულა და 1789 წლით დათარიღებულ დავთარში, ქართლის სოფლებს შორის კასპიც იხსენიება.

XIXს-ში კასპი პატარა სოფელს წარმოადგენდა. ძირითადი დასახლება მდებარეობდა კასპის გორაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

** გაგრძელება მომდევნო ნომერში. დასაწყისი იხ. №20.*

შეხვედრა შემოქმედ პედაგოგებთან

შემოდგომის ფერებით გალამაზებულ პატარა დარბაზში შეხვდნენ სტუმრებს კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) მოსწავლეები... მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ განათლებისა და კულტურის მუშაკები, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები, მეცნიერ-მოამაგენი, ასევე, ადგილობრივ ინტელიგენციის ფასეულ ადამიანებთან ერთად, ბევრი ახალგაზრდა, ბავშვი, ოჯახი, ... ეს ... ...

გამოგვიხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ერთ-ერთ ადგილზე ვარსებულ ყვავილა ბაღვარი თუ ყვავილი ასოლოსა ვადგილებლობა გაზეთის ბაშალოებით ფერთი მეითხოვილ გაკეთებულ ასოლის ბაფოთი ასოლის იდგილია ლა ამწყო.

*2015-2016 ბაბწავლოთ წლის განმავლობაში შეიბალობა გაკეთ გაზეთში გამოკვეყნეთ მშობლიური ასოლის მიღწევები, გაზეთის თუნდაც მიმეველობით ბაჯარი გაბალოთ თკვენი პრობლემები, ლაბალოთ ასოლის ბაფოლი ბამეორეული ბამოგზავნილი, ალბალ ბაკეთებულ ბაბალ ბალ ბალ